

სარადიძე: "მეც ყოფილი პოლიციერი ვარ და არასდროს მივაყენებ ფორმიანს შეურაცხყოფას"



ზაზა სარადიძე ზვიად კუპრავეს დაკავებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ს შსს-ს მეორ გავრცელებული ინფორმაციის არ სჯერა.

„ყოფილი პოლიციერი არასდროს მიაყენებს პოლიციერს შეურაცხყოფას. მეც ყოფილი პოლიციერი ვარ და არასდროს მივაყენებ ფორმიანს შეურაცხყოფას, რაც არ უნდა მოხდეს“, – განაცხადა ზაზა სარადიძემ.

ზვიად კუპრავეა და აქციის კიდევ სამი მონაწილე დღეს დღით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ისინი წვრილმანი ხურიგნობისა და პოლიციერის განკარგულების დაუმორჩილებლობის ფაქტზე არიან დაკავებული. პარლამენტთან ზვიად კუპრავეას, დაშა ცუცქერიძისა და კიდევ 2 პირის დაკავებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება უწყების ვებგვერდზე [გამაქვეყნა](#).

“შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ 11 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ წვრილმანი ხურიგნობისა და პოლიციერის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე ადმინისტრაციულ სამართარდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დაკავებულია 4 პირი: 1983 წელს დაბადებული დ.ც.; 1983 წელს დაბადებული მ.კ.; 1995 წელს დაბადებული დ.ჭ. და 1993 წელს დაბადებული ნ.გ.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ გამოხატვის თავისუფლება იქნეს უზრუნველყოფილი. ამავდროულად დროს სამინისტრო პასუხისმგებელია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის დროს დაცული იქნეს კანონი, არ შეიღებოს მოქალაქეების უფლებები და საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებრივ წესრიგს,”- წერია განცხადებაში.

როგორც სარადიძემ აღნიშნა, კარვების საავტომობილო გზიდან აღებას არ აპირებს და დღეს 14:00 საათზე მთელ საქართველოს აქციაზე მისვლისკენ მოუწოდებს.